

საქართველოს კანონი

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების და ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, №21-22, მუხ. 481) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილებები:

1. 10³ მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-5 პუნქტი:

„5. დაწესებულების დირექტორის შესარჩევი კონკურსის ჩატარებამდე, დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით“.

2. 15¹ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სამეცნიერო ფონდის ხელმძღვანელს, ფონდის დირექტორს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით.

5. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქართველოლოგიის, კუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით.

მუხლი 2.

1. ამ კანონის ამოქმედებიდან სამი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებამდე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი